განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა გრძელიძე

წევრები:

ია ფირანიშვილი-გიგიბერია;

ტიტე ბოლქვაძე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **ა(ა)იპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ **საზოგადოებრივი კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 7 აგვისტოს №715 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით 2018 წლის 20-21 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ საზოგადოებრივ კოლეჯში "სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი". პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი მუშაობდა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით. შემოწმებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, მოდულები და სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ფართისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ვებ-გვერდი; საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; სტუდენტთა რეესტრის მონაცემები; პრაქტიკის გავლის დოკუმენტაცია; საბიბლიოთეკო ფონდი და სხვ. ასევე, განხორციელდა ვიზიტი გაცნობით პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პოტენციურ დამსაქმებლებს.

ვიზიტის მსვლელობისას ჩატარდა შეხვედრები საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან, ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან. დაწესებულებამ დროულად და ორგანიზებულად უზრუნველყო ყველა მოთხოვნილი დოკუმენტისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის:
„სარკინიგზო გადაზიდვები“
„ლოკომოტივის მართვა“
„რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“
„სავაგონო მეურნეობა“
„რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები**	**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**		
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ საზოგადოებრივი კოლეჯი "სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი" გამოირჩევა ინტერნაციონალიზაციის მაღალი მაჩვენებლით, რაც დასტურდება მისი მონაწილეობით "ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსთვის" (MCA) – " პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" (ISWD) საგრანტო პროექტში, სადაც მოიპოვა გამარჯვება და გერმანიის რკინიგზის შვილობილ კომპანია DB E&C-სთან პარტნიორობით ნერგავს დუალურ მეთოდს 4 ჩარჩო-დოკუმენტში გადანაწილებულ 8 მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. დაწესებულებას დაწყებული აქვს პერსონალის გადამზადება უცხო ენის კომპეტენციის ასამაღლებლად.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1 მოდულების 3.1 გრაფაში გაკეთდეს ჩანაწერი როგორ ხდება შედეგების დასატურება: ერთად თუ ცალცალკე თითოეული სწავლის შედეგი. ასევე რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა ადგილზე, სასწავლო გარემოში და რომელი პრაქტიკის ობიექტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიდან ამოღებული იქნეს 4 მუხლის 1.თ პუნქტი, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სწავლის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად სწავლის სხვა კოლეჯში გაგრძელების განსაზღვრას.

1.6 შიდა მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფებიდან ერთ ერთი დატოვება, რადგან არ არის ცალ-ცალკე გაწერილი მათი ფუნქცია-მოვალეობები და არც სხვა დოკუმენტში არის ნახსენები ორი ჯგუფის ფუნქციონირება.

2.3 ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის განთავსდეს დაწესებულების ვებ გვერდზე.

VII. დაწესებულების მისია

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა, თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის პირობების შექმნა. კოლეჯის ხედვაა, იყოს ლიდერი სასწავლებელი რეგიონში სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორობით. კოლეჯის ფასეულობები და სამუშაო პრინციპებია:

- ინდივიდუალური მიდგომა ყოველი სტუდენტისადმი;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე - ,, სწავლა კეთებით";
- თანამშრომლობითი, კომფორტული და ესთეტიური სასწავლო გარემოს შეთავაზება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოტივირებული პედაგოგების კორპუსის შექმნა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსისა;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის უზრუნველყოფა და შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- ინოვაციურობა და პროგრესულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“ [redacted] წარმოადგენს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბერის N38 გადაწყვეტილება). ამ ეტაპზე დაწესებულებას მოპოვებული აქვს უფლება განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.
2. მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“,** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „**რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა**“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 60 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.
4. მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი ორი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველძე შექმნილი ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით:

1. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №52 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„სარკინიგზო გადაზიდვები“,** სარეგისტრაციო ნომერი 07118-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში. მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 60, თითო ნაკადზე 30-30.
2. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №53 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„ლოკომოტივის მართვა“,** სარეგისტრაციო ნომერი 07118-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში.; მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 60, თითო ნაკადზე 30-30.
3. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №51 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“,** სარეგისტრაციო ნომერი 07118-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში. მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 30, თითო ნაკადზე 15-15.
4. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №54 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა - **„სავაგონო მეურნეობა“,** სარეგისტრაციო ნომერი 07117-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში. მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 60, თითო ნაკადზე 30-30.

5. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №54 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“,** სარეგისტრაციო ნომერი 07117-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში. მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა 30, თითო ნაკადზე 15-15.

პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგება ძირითადი დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირებული ვერსიებისაგან. პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია; პროგრამის მიზანი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა; პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი მოდულები, საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები). თითოეულ პროგრამას თან ერთვის: შესაბამისი მოდულები; სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ (სახელი, გვარი, მოდული - რომელსაც ახორციელებს და კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება); სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეული პროგრამის შესაბამისი მოდულების შესწავლისას დაცულია წინაპირობები, თანმიმდევრობა ასხულია სასწავლო გეგმებში, რომლის მიხედვით დაწესებულების ბაზაზე განსაზღვრული ასათვისებელი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ (26 კვირა) პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ განმავითარებელი შეფასება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტების დადებითი მხარეების და ნაკლოვანებების გამოვლენა/გამოსწორება , რომლის შემდეგ პროფესიული სტუდენტი გადადის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე თანამდებობრივი სარგოს 1/3 ანაზღაურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

68 კვირის შემდეგ ან პროფესიულ სტუდენტს ენიშნება თანამდებობრივი სარგოს 2/3 და 6 თვის შემდეგ აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას, რომლის ჩაბარების შემდეგ დასაქმდება წარმოებაში სრული ხელფასით ან მოითხოვს 6 თვიანი პრაქტიკული გამოცდილების გარეშე საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნას, რომლის შემთხვევაშიც სს – "საქართველოს რკინიგზა" არ იღებს ვალდებულებას დაასაქმოს იგი და მას ეძლევა შესაძლებლობა კომპანიაში ვაკანსიების შემთხვევაში მიიღოს კონკურსში მონაწილეობა დასაქმების მიზნით.

სასწავლო გეგმებში დაცულია თითოეული მოდულის კრედიტების რაოდენობები და ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია წინაპირობები გარდა ერთი შემთხვევისა: **პროგრამაში „ლოკომოტივის მართვა" მოდული „სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა" იწყება 1 კვირას და მთავრდება 31 კვირას, ხოლო მოდული „ლოკომოტივის მემანქანის სამუშაო პროცესის ორგანიზება, რომლის წინაპირობაც არის მოდული „სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა" იწყება 25 კვირას და მთავრდება 30 კვირას. აქ წინაპირობა დაცული არ არის.**

სასწავლო გეგმებში, რიგ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული მოდულის დასრულების შემდგომ გადაბარების შესაძლებლობა. მაგალითად: 1. პროფესიულ პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვებში" მოდული „რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები" იწყება 28 კვირას და მთავრდება 33 კვირას, ხოლო მოდული „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები" რომლის წინაპირობაც არის „რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები", იწყება 33 კვირას. აქ გადაბარების საშუალება არ არის. **2.** პროფესიულ პროგრამა „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება" მოდული „რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მნომსახურება და რემონტი" მთავრდება 56 კვირას, ხოლო მოდული „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი" რომლის წინაპირობაც არის „რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მნომსახურება და რემონტი", იწყება 57 კვირას. აქაც გადაბარების საშუალება არ არის.

იდენტიფიცირებული იქნა მოდულების ადაპტირების პროცესში დაშვებული მცირედი ტექნიკური ხარვეზებიც. კერძოდ, ხუთივე საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების 3.1 პუნქტში „დამატებითი რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(საჭიროების შემთხვევაში)“ ფრაზა „საჭიროების შემთხვევაში“ არსებობა აღარაა საჭირო, რადგან თუ ასეთი რეკომენდაციები შემუშავებული აქვს დაწესებულებას, ის უკვე უნდა იყოს შეტანილი დასახელებულ ცხრილში, ხოლო თუ არ აქვს - მაშინ ეს გრაფა უნდა იყოს ცარიელი.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ ადგილას გაკეთდეს ჩანაწერი როგორ ხდება შედეგების დადასტურება: ერთად თუ ცალ-ცალკე თითოეული სწავლის შედეგი. ასევე რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა ადგილზე, სასწავლო გარემოში და რომელი პრაქტიკის ობიექტზე.

ასევე, ყველა მოდულში სადაც მოცემულია ტექნიკური აღჭურვილობა, ჩანაწერი გაკეთებულია შემდეგნაირად: „მინიმალური ტექნიკური არჭურვილობა და ნორმატივი“. სიტყვა „მინიმალური“ არ უნდა ეწეროს, რადგან მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობას განსაზღვრავს სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო სასწავლებელი მოდულის ადაპტირების პროცესში უთითებს ტექნიკური აღჭურვილობის იმ ჩამონათვალს, რომელიც აქვს დაწესებულების ბაზაზე.

ვიზიტის პროცესში დაწესებულების მიერ აღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და წარმოადგინეს შეცვლილი სასწავლო გეგმები და მოდულები. რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ 2018 წლის 20 აგვისტოს #63 ბრძანებით.

თითოეულ მოდულს ყავს რამოდენომე განმახორციელებელი (8, 10). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ეს განპირობებულია იმით, რომ პედაგოგების ძირითადი ნაწილი დასაქმებულია სს „საქართველოს რკინიგზაში“ ხელმძღვანელ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და რიგ შემთხვევაში, სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე შეიძლება ვერ მოახერხონ მეცადინეობისთვის განკუთვნილ დროს სასწავლებელში გამოცხადება. ამიტომ ხდება პედაგოგების ურთიერთჩანაცვლება და სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნება. პროგრამის განმახორციელებელი პირი რომელიც ვერ ახერხებს მეცადინეობაზე გამოცხადებას, წინასწარ ატყობინებს სასწავლებელს და ხდება მისი ჩანაცვლება მოდულში მითითებული სხვა პროგრამის განმახორციელებელი პირით.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამებში წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუ-დენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით, პროგრამების განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზასთან“:

1. **სარკინიგზო გადაზიდვები** - სს „საქართველოს რკინიგზა“ (იუს/18-029. 06.06.2018), რომლის საფუძველზეც - კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს არაუმეტეს **30** პროფესიული სტუდენტის სწავლება. სს „საქართველოს რკინიგზა“-ს თბილისი მახარისხებელში (ქ. თბილისი, ქინძმარაულის 12)
2. **ლოკომოტივის მართვა** - სს „საქართველოს რკინიგზა“ (იუს/18-031. 06.06.2018), რომლის საფუძველზეც - კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს არაუმეტეს **30** პროფესიული სტუდენტის სწავლება. სს „საქართველოს რკინიგზა“-ს თბილისი მახარისხებელის სალოკომოტივო დეპოში (ქ. თბილისი, გუმათჰესის 89).
3. **რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება** - სს „საქართველოს რკინიგზა“ (იუს/18-028. 06.06.2018), რომლის საფუძველზეც - კოლეჯის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს არაუმეტეს **15** პროფესიული სტუდენტის სწავლება სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სადგურ ავჭალაში (ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. #12), „სატვირთო ეზო“ (ქ. თბილისი, ვანის ქ. #1), „ლაბორატორია“ (ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი #5), „მახარისხებელი“ (ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. #12).

4. **სავაგონო მეურნეობა** - სს „საქართველოს რკინიგზა“ (იუს/18-030. 06.06.2018), რომლის საფუძველზეც - კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს არაუმეტეს **30** პროფესიული სტუდენტის სწავლება სს „საქართველოს რკინიგზა“-ს თბილისის სავაგონო საექსპლუატაციო დეპო (ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #2), თბილისი საკვანძო (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #2), „მახარისხებელი“ (ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. #12), თბილისი სატვირთო (ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #22), თბილისის ვაგონების სარემონტო დეპო (ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #22).
5. **რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა** - სს „საქართველოს რკინიგზა“ (იუს/18-027. 06.06.2018), რომლის საფუძველზეც - კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს არაუმეტეს **15** პროფესიული სტუდენტის სწავლება სს „საქართველოს რკინიგზა“-ს თბილისი მახარისხებელის სალოკომოტივო დეპოში (ქ. თბილისი, გუმათჰესის 89).

ხუთივე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე. ხელშეკრულებებში არსად არ არის მითითებული რომ პროფესიული სტუდენტი აიღებს თანამდებობრივი სარგოს 1/3 -ს და 68 კვირის შემდეგ ან პროფესიულ სტუდენტს ენიშნება თანამდებობრივი სარგოს 2/3 და 6 თვის შემდეგ აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას, რომლის ჩაბარების შემდეგ დასაქმდება წარმოებაში სრული ხელფასით ან მოითხოვს 6 თვიანი პრაქტიკული გამოცდილების გარეშე საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნას, რომლის შემთხვევაშიც სს –

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს რკინიგზა არ იღებს ვალდებულებას დაასაქმოს იგი და მას ეძლევა შესაძლებლობა კომპანიაში ვაკანსიების შემთხვევაში მიიღოს კონკურსში მონაწილეობა დასაქმების მიზნით. თუმცა დაწესებულების და სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენელთან გასაუბრების შემდგომ გაირკვა რომ არსებობს პროექტი, შეთანხმებული სს „საქართველოს რკინიგზასთან“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და უახლოეს მომავალში დამტკიცებული იქნება სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 15 ივნისის #822 ბრძანებით ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს მიერ პროგრამების სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური მიდგომით განხორციელების მიზნით, გამოიყო პრაქტიკის ხელმძღვანელები და ინსტრუქტორები (სულ - 42 პირი). აქედან 5 ინსტრუქტორი მოემსახურება პროგრამის - „ელექტრო მოძრავი შემადგენლობას“ პროფესიული სტუდენტების თითო ნაკადის სწავლებას და ინსტრუქტირებას, 10 ინსტრუქტორი - პროგრამის „ლოკომოტივის მართვა“ პროფესიული სტუდენტების თითო ნაკადის სწავლებას და ინსტრუქტირებას, 10 ინსტრუქტორი - პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვების“ პროფესიული სტუდენტების თითო ნაკადის სწავლებას და ინსტრუქტირებას, 6 ინსტრუქტორი - პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ პროფესიული სტუდენტების თითო ნაკადის სწავლებას და ინსტრუქტირებას, ხოლო 11 ინსტრუქტორი - პროგრამის „სავაგონო მეურნეობა“ პროფესიული სტუდენტების თითო ნაკადის სწავლებას და ინსტრუქტირებას.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პარტნიორ ორგანიზაციაში შემდეგ მისამართებზე: სს „საქართველოს რკინიგზა“-ს „ლაბორატორია“ (ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი #5) სადაც მოხდება პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისება და მისამართზე სს „საქართველოს რკინიგზა“-ს თბილისის ვაგონების სარემონტო დეპოში (ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #22), სადაც მოხდება პროგრამის „სავაგონო მეურნეობა“ კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარტნიორ ორგანიზაციაში ვიზიტის პროცესში შესაძლებელი გახდა ინსტრუქტორებთან და მათ ხელმძღვანელებთან გასაუბრებაც. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს ნათლად აქვს გააზრებული მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის მნიშვნელობა. პარტნიორ საწარმოში ინსტრუქტორი თეორიის მასწავლებელთან ერთად ახდენს პროფესიული სტუდენტის შეფასებას. პროფესიული სტუდენტები სისტემატიურად ავსებენ ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ადასტურებს ინსტუქტორი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის ბრძანებები #52; 53; 51; 54; 55 საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ.
- ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“- ს დირექტორის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება #63 საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- ხელშეკრულება პარტნიორ საწარმოსთან (იუს/18-027; იუს/18-028; იუს/18-029; იუს/18-030; იუს/18-031; – 06.06.2018).
- სს „საქართველოს რკინიგზა“-ს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 15 ივნისის #822 ბრძანება (ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს მიერ სწავლების დუალური მეთოდოლოგიის ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯის სტუდენტთა სს „საქართველოს რკინიგზაში“ პრაქტიკის გავლის შესახებ)

შეფასება:

- ✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ვებ-გვერდზე https://www.rtc.edu.ge/pdf/katalogi-5b17f8291d03b.PDF. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში შეტანილია პროფესიული პროგრამები, რომელსაც დაწესებულება ახორციელებს:

1. რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი;
2. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა;
3. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა.

პროფესიული პროგრამა („სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი“) შეტანილი არ არის, რადგანაც დაწესებულება აღარ ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას. ასევე არ არის შეტანილი დასამატებელი პროგრამები.

პროგრამების კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ; პროგრამების ჩამონათვალი; თითოეული პროგრამისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება; პროგრამის მიზანი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; სწავლის შედეგები; პროგრამაზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა; პროგრამის ხანგრძლივობა; პრაქტიკის ობიექტები;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდი: https://www.rtc.edu.ge/pdf/katalogi-5a3170942ac8d.pdf
- კატალოგი მატერიალური სახით

შეფასება:

- ✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურა.
წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს, კერძოდ:

- რკინიგზის ოპერირება - 07118-3
- სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი - 07117-3

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების შედარება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტთან.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

დაწესებულება ამჟამად ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 3 პროფესიულ პროგრამას: 1. რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი, სადაც მიღებულია 9 პროფესიული სტუდენტი; 2. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა, სადაც მიღებულია 4 პროფესიული სტუდენტი და 3. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა სადაც მიღებულია 5 სტუდენტი. სულ დაწესებულებას მიღებული ყავს 18 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და შედარებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (evet.emis.ge), სადაც სწორად და ვადების დაცვით იყო ასახული პროფესიულ სუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია. შემოწმდა, თუ როგორ მოხდა პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვება, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ წესს. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში ინახება მასთან გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში არის მუხლი რითიც დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები გაცნობილნი არიან დაწესებულების დებულებას და შრომის შინაგანაწესს.

შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 4 მუხლის 1.თ. პუნქტი ითვალისწინებს სტატუსის შეწყვეტას იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სწავლას გააგრძელებს სხვა კოლეჯში. ჩანაწერი ბუნდოვანია და დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით გულისხმობს, რომ თუ სტუდენტი განცხადებით მიმართავს დაწესებულებას სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სხვა კოლეჯში სწავლის გაგრძელების მიზნით. ამავე მუხლის 1.ა. პუნქტი ითვალისწინებს სტატუსის შეწყვეტის საფუძვლად სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. ამიტომ 1.თ. პუნქტი - სტატუსის შეწყვეტა იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სწავლას გააგრძელებს სხვა კოლეჯში შესაძლებელია ამოღებულ იქნეს.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიდან ამოღებული იქნეს 4 მუხლის 1.თ პუნქტი.

დაწესებულებას არ ჰქონია მობილობის და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევები. ასევე სტატუსის შეწყვეტის შემთხვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ ერთ პროფესიულ სტუდენტს შეუჩერა სტატუსი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 3 მუხლის 1 პუნქტის ვ. ქვეპუნქტის (სხვა არსებითი გარემოება, სტუდენტის განცხადება) საფუძველზე. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 18 ივნისის #56 ბრძანებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტით ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 18 ივნისის #56 ბრძანებით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე.

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის 7 მუხლის 2 პუნქტში, რითიც ირკვევა, რომ კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

კოლეჯმა წარმოადგინა 2018 წლის 6 მარტის ხელშეკრულება სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რის მიხედვითაც სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“, „რკინიგზის ლიანდაგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშენებლობა“, „რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობა“, „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, „ლოკომოტივის მართვა“, „საბაგონო მეურნეობა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები“ შეწყვეტის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მობილობის წესით ჩარიცხვა სწავლის გაგრძელების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტით ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- 2018 წლის 6 მარტის ხელშეკრულება ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა“ და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, კოლეჯის მოდულური (დუალური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეწყვეტის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების მობილობის წესით სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფის შესახებ.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2017-2018 წ. დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ) სწავლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გაწერილია -კონკრეტული აქტივობები, ამ აქტივობების განხორციელებაზე ანგარიშვალდებული პირი და შესრულების ვადები. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.უწყვეტი მონიტორინგი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების განხორციელების მიმდინარეობაზე; პასუხისმგებელი პირი: სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;ყოველდღიურად.

2. მონიტორინგის ყოველთვიური ანგარიშის გაანალიზება და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა; ხარისხის მართვის მენეჯერი, თვის ბოლო ხუთშაბათი.

3.სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;ყოველდღიურად.

4. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მონიტორინგის შედეგების გაანალიზება და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა;ხარისხის მართვის მენეჯერი;ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ.

5.პროფესიულ სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგი;სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი; მოდულებით გათვალისწინებული ყოველი შედეგის დასრულების შემდეგ.

6. პროფესიულ სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგის შედეგების შეჯამება; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;ყოველთვიურად

7.პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება; ხარისხის მართვის მენეჯერი; ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ.

8.მასწავლებელთა გამოკითხვის ჩატარება; ხარისხის მართვის მენეჯერი; ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ.

9. გამოკითხვის შედეგების დამუშავება, ანალიზი და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა; ხარისხის მართვის მენეჯერი; ყოველთვიურად.

10. წარჩინებული პროფესიული სტუდენტების წახალისება; კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი; ყოველწლიურად კოლეჯის დაარსების დღეს(4 სექტემბერი).

11. საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა და წახალისება; კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი;ყოველწლიურად კოლეჯის დაარსების დღეს(4 სექტემბერი).

12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების მექანიზმების მუშაობის ანგარიშის მოსმენა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა; ხარისხის მართვის მენეჯერი; სამ თვეში ერთხელ.

იმის გამო, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი და რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა) სწავლება დაიწყო 30 მაისს, ამ ეტაპისთვის სტუდენტებს აქვთ გავლილი შემდეგი ექვსი მოდული: ინფორმაციული წიგნიერება; საინჟინრო გრაფიკა; რაოდენობრივი წიგნიერება; გაცნობითი პრაქტიკა საგზაო მშენებლობაში; ლიანდაგის ზედანაშნის კონსტრუქცია; ელექტრული და ელექტრონული პრინციპები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, გაწერილ სამოქმედო გეგმაში, ამ დროისთვის კოლეჯს აქვს მხოლოდ ზემოთ მითითებული მოდულების დასრულების შემდეგ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის კითხვარი.

ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N49 (31.05.2018 წ), კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.8 პუნქტის შესაბამისად (კოლეჯის დირექტორის ფუნქციები) შექმნილია შიდა მონიტორინგის და შიდა მხარდაჭერის ჯგუფი. იმავე ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის შიდა მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების მუშაობის თანდართული წესი. წესის თანახმად, შიდა მხარდაჭერის და მონიტორინგის ჯგუფმა უნდა უზრუნველყონ სწავლა-სწავლების ხარისხის კონტროლი, რომლის ფარგლებში ევალებათ: პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვა, შეფასების უწყისის წარმოება, პროფესიული სტუდენტის/პედაგოგის გამოკითხვა და შედეგების ანალიზი, მეცადინეობაზე დასწრება და შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ამ ორი ჯგუფიდან ერთ ერთი დატოვოს, რადგან არ არის ცალ-ცალკე გაწერილი მათი ფუნქცია-მოვალეობები და არც სხვა დოკუმენტში არის ნახსენები ორი ჯგუფის ფუნქციონირება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტით ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს დირექტორის 2018 წლის 31 მაისის N 49 ბრძანებით შიდა მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების შექმნისა და მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ
- დოკუმენტით ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს სასწავლო პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის წესით.

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით (12.02.2016) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გადმოცემული აქვს ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, მე-11 მიკრო/რაიონში, მე-3 კვარტალში, ნაკვეთ 01/10-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე მიმაგრებული #1, #2 და #3 შენობა ნაგებობები [redacted] დაზუსტებული ფართით 42887 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ფართი - 5813 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო/რაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10	დაზუსტებული ფართით 42887 კვ.მ; შენობა-ნაგებობა - 5813 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უზუფრუქტის ხელშეკრულება, რეგისტრაციის [redacted], დამოწმების თარიღი 12.02.216
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ([redacted] 06/03/2018)

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია 7 A ტიპის სასწავლო გარემო, თითოეული გათვლილი 16 სტუდენტზე და პედაგოგზე, 2 A ტიპის სასწავლო გარემო, თითოეული გათვლილი პედაგოგზე და 8 სტუდენტზე და 5 B ტიპის სასწავლო გარემო, რომელთაგან თითოეული გათვლილია 16 პროფესიულ სტუდენტზე და 1 პედაგოგზე. თითოეული B ტიპის გარემო აღჭურვილია 16 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული სტუდენტებისთვის და კომბაინით, ასევე პროექტორით და ლეპტოპით პედაგოგისთვის.

დაწესებულებას ასევე გააჩნია საგამოცდო ოთახი, რომელშიც განთავსებულია: 28 ერთადგილიანი მერხი, 28 სკამი, 27 პერსონალური კომპიუტერი, 1 პორტატული კომპიუტერი, A1 მრავალფუნქციური პრინტერი და შეხვედრების ოთახი, რომელიც გათვლილია 36 პროფესიულ სტუდენტზე და 2 პედაგოგზე.

პროგრამის განხორციელების ადგილზე მოწყობილია სამი სახელოსნო („C“ გარემო), იმ პრაქტიკული სწავლის შედეგების ასათვისებლად, რომელთა განხორციელებაც სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია დაწესებულების ბაზაზე. ასევე განთავსებულია ელმავლის მემანქანისთვის გათვალისწინებული სიმულატორები (სულ ორი სიმულატორი ძველი და ახალი მოდელის ელმავლები, თავისი სამეთვალყურეო ოთახებით და მონიტორებით).

ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრული პრაქტიკული უნარების სასწავლებლის ბაზაზე ათვისების მიზნით, დაწესებულებას ეზოში მოწყობილი აქვს ლიანდაგი.

სასწავლო გეგმის მიხედვით, პარტნიორ საწარმოში ასათვისებელი სწავლის შედეგების შესაბამისი მატერიალური ბაზები განთავსებულია პრაქტიკული სწავლების განხორციელების მისამართზე (იხ. სტანდარტი 1.1).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულება #PP09-A1/ISWD/G/S/18-144
- მიღება-ჩაბარების აქტები
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #13
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში“ შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი გარემო. დაწესებულება უწყვეტად მარაგდება ელექტროენერგიით. ასევე არის ბუნებრივი განათება ყველა იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიულ სტუდენტებს უხდებათ მუშაობა. სველი წერტილები განლაგებულია ოთხივე სართულზე ქალებისა და მამაკაცებისათვის ცალ-ცალკე. ყველა სველი წერტილი ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. შენობაში არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ ვიზუალური დათვალიერება
- ➢ კომუნალური გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია შემდეგი პუნქტები: ზოგადი დებულებანი; კოლეჯის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება; ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი; სამკითხელო დარბაზში მოქცევის წესები; ბიბლიოთეკის წიგნის გატანის პროცედურა; ელექტრონულ მატარებელზე არსებული რესურსები; მკითხველთა პასუხისმგებლობა; ბიბლიოთეკის მუშაობის დრო. დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბიბლიოთეკის სამუშაო აღწერილობა. ბიბლიოთეკარად მუშაობს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი, ქართული ფილოლოგიის მიმართულებით და აქვს გავლილი სტაჟირება-კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკის დეპარტამენტში.

კოლეჯის ბიბლიოთეკას აქვს როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური კატალოგიც. ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა ბიბლიოთეკის ოთახი, რომელიც აღჭურვილია სამკითხველო დარბაზით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკის ოთახში დგას კომბაინი (პრინტერი, სკანერი და ასლგადამღები), პროფესიული სტუდენტებისთვის რვა მაგიდა, რვა სკამი და ოთხი კომპიუტერი; ბიბლიოთეკარისთვის - ერთი მაგიდა, ერთი სკამი და ერთი ლეპტოპი.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ ლიტერატურასთან. მაგალითად: პროგრამაში - "სარკინიგზო გადაზიდვები" მოდულში: რკინიგზის მუშაობის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები, სადაც მითითებულია ორი სასწავლო რესურსი, შემოწმების შედეგად ორივე რესურსი არის ელექტრონული სახით ერთ ეგზემპლიარად ამობეჭდილი. პროგრამაში - "რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება" მოდულში: სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი, სადაც მითითებულია სამი რესურსი, შემოწმების შედეგად სამივე რესურსი არის ელექტრონული სახით ერთ ეგზემპლიარად ამობეჭდილი.

კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია ელექტრონული კატალოგის განთავსებისაც, რადგან სასურველია სტუდენტს ჰქონდეს ინფორმაცია წიგნების ფონდის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წიგნების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში“ აღრიცხული არის სათანადო პარამეტრების მქონე პორტატული კომპიუტერი 25 ცალი, აქედან ადმინისტრაციისათვის 15 ცალი, პედაგოგებისთვის 10 ცალი. პერსონალური კომპიუტერი მონიტორით - 159 ცალი, პროექტორი ეკრანით - 16 ცალი; A3 მრავალფუნქციური ფერადი პრინტერი 1 ცალი; A4 მრავალფუნქციური პრინტერი - 15 ცალი. აუდიტორიებში და ადმინისტრაციის ოთახებში არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ ქსელში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულებით #PP09-A1/ISWD/G/S/18-144
- მიღება-ჩაბარების აქტებით
- ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #13
- ვიზუალური დათვალიერებით
- 2018 წლის 31 მაისის #31/05/8 ხელშეკრულებით ინტერნეტმომსახურების მიწოდების შესახებ
- 2017 წლის 13 დეკემბრის #13/12 ხელშეკრულებით ჰოსტინგის მომსახურების შესახებ

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია საქმისწარმოების დადგენილი წესი, რომლის მიხედვით ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა როგორც ბეჭდური რეგისტრაციის ჟურნალში, ასევე ელექტრონულ ბაზაში. ბეჭდური რეგისტრაციის ჟურნალი დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რაც უზრუნველყოფს სანდოობას და მთლიანობას. ჟურნალში აღრიცხული კორესპონდენცია არის ოთხ ნაწილად დაყოფილი: გასული წერილები; შემოსული წერილები, ბრძანებები და განცხადებები - მოხსენებითი ბარათები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სარეგისტრაციო ჟურნალით
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმები, რომელიც განთავსებულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე, ასევე ყველა სართულზე, ორ ადგილას, განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება #17 დაცვის სამსახურთან - შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო - I“ რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში. სასწავლო კორპუსის დერეფნები და გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია სათვალთვალო კამერებით.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებაში არსებობს ექიმის კაბინეტი საჭირო ინვენტარით და დახმარებისათვის საჭირო გადაუდებელი მედიკამენტებით. არის შესაბამისი კვალიფიკაციის პირი სამედიცინო დახმარების გასაწევად, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება 2018 წლის 1 ივნისს და მოქმედებს 2018 წლის 31 აგვისტომდე. მედდა გაცნობილია მის სამუშაოს აღწერილობას რაც დასტურდება „მედდის სამუშაოს აღწერილობაზე“ მისი ხელმოწერით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც დამტკიცებულია დაწსებულების დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს #62 ბრძანებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება კოლეჯსა და კერძო დაცვის სამსახურ „საკუთრების დაცვის სამმართველო-I“-ს შორის #17.
- შრომითი ხელშეკრულება მედდასთან.
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- მედდის სამუშაოს აღწერილობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო: სასწავლებლის შენობასთან თავისუფალი მისვლის შესაძლებლობა. არსებობს პირველ სართულზე შესასვლელი სპეციალურად მოწყობილი პანდუსი სსსმ პირებისათვის, ასევე ყველა სველი წერტილი ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და დაწესებულების ადმინისტრაცია. ყველა აუდიტორიის შესასვლელი მოწყობილია იმგვარად, რომ თავისუფლად მოხერხდეს სსსმ პირების გადაადგილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი www.rtc.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: დაწესებულების - ისტორია; მისია; წესდება; სტრუქტურა; შინაგანაწესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; პროგრამის კატალოგი; სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი; უკვე მოქმედი და დასამატებელი პროგრამები; ინფორმაცია ადმინისტრაციისა და პედაგოგიური რესურსის შესახებ. ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია. ვებ-გვერდს გააჩნია ინგლისური ვერსიაც, რომელიც დამუშავების პროცესშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდი - www.rtc.edu.ge

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საზოგადოებრივ კოლეჯ "სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს" შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი, 2016-2021) და ერთწლიანი (2017-2018) სამოქმედო გეგმები, რომლებიც შექმნილია სსიპ "საქართველოს ტექნიკურ უნივერსტეტთან თანამშრომლობით. სტრატეგიული გეგმა და მასში შემავალი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, კოლეჯის მიერ გაცხადებულ მიზნებთან და ორიენტირებულია მათ შესრულებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების გრძელვადიან 2016-2021 წლების გეგმა მოიცავს ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვას, კოლეჯის განვითარების შესაძლებლობებს, სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას, დამსაქმებელთა ინტერესებისა და რისკების შეფასებას, გამოწვევებსა და სტრატეგიულ მიზნებს.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია დაწესებულების მიერ გასატარებელი კონკრეტული აქტივობები, ამ აქტივობების განხორციელებაზე ანგარიშვალდებული პირი(პირები), და შესრულების ვადები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2016-2022;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან.

შეფასება:

✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დასაქმებულთა კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ინსტრუქციები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტებში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესსა“ და “შინაგანაწესში”, რომლის თანახმადაც, შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატი ვალდებულია კოლეჯში წარმოადგინოს CV ან ავტობიოგრაფია (ქართულ ენაზე), განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტის) ასლი, ფოტოსურათი ¾-ზე 2 ცალი, სამუშაო გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტი(საჭიროების შემთხვევაში), ინფორმაცია საბანკო რეკვიზიტების შესახებ, დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ(მოთხოვნის ან დასაქმებულის სურვილის შემთხვევაში), სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი მოთხოვნის ან დასაქმებულის სურვილის შემთხვევაში. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა პერსონალის პირად საქმეებში ამ დოკუმენტების არსებობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მუხლი 9;
- პირადი საქმეები;
- ინტერვიუ;
- “შინაგანაწესი”.

შეფასება:

- ✓ <u>**ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 133 პროგრამის განმახორციელებელი პირი, რომლებიც შერჩეულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმე, სადაც განთავსებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. მათი განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვების“ განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 39 პედაგოგი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოკომოტივის მართვის“ განხორციელებას - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 34 პედაგოგი.

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ განხორციელებას - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 35 პედაგოგი.

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის „სავაგონო მეურნეობა“ განხორციელებას - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 40 პედაგოგი.

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ განხორციელებას - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 36 პედაგოგი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მუხლი 9;
- პირადი საქმეები;
- ინტერვიუ;
- “შინაგანაწესი”.

შეფასება:

- ✓ <u>**ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის საზოგადოებრივ კოლეჯს ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროგრამის განმახორციელებელი პირები/პროფესიული განათლების მასწავლებლები.
დაწესებულებას აქვს შინაგანაწესი, რომლის მიხედვით შედგენილ შრომით ხელშეკრულებაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაწერილია დამსაქმებლისა და დასაქმებულის ორმხრივი უფლება-მოვალეობანი. პერსონალის შერჩევა ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შესაძლებელა დადგინდეს პედაგოგთათვის დამატებითი მოთხოვნები. კოლეჯის მიერ დასაქმების მსურველთა შერჩევისას, კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კონკურსით შერჩევის წესიც. კოლეჯის ხარისხის მენეჯერი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე ადგენს პედაგოგობის მსურველი პირის კვალიფიკაციის შესაბამისობას "პროფესიული განათლების შესახებ " საქართველოს კანონისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმეები;
- „შინაგანაწესი".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	სარკინიგზო გადაზიდვები	მეოთხე	**მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783**	**90**	**120**	ქართ	1. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 2. ქ. თბილისი, ქინძმარაულის 12	0	60
2	ლოკომოტივის მართვა	მეოთხე	**მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783**	**90**	**120**	ქართ	1. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 2. ქ. თბილისი, გუმათჰესის 89	0	60
3	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	მეოთხე	**მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 040783**	**90**	**120**	ქართ	1.ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 2. ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. #12 3. ქ. თბილისი, ვანის ქ. #1 4. ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი #5 5. ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. #12	0	30
4	სავაგონო მეურნეობა	მეოთხე	**მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში 040782**	**90**	**120**	ქართ	1. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 2. თბილისი, მოსკოვის გამზირი #2 3. ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #2	0	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

							4. ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. #12 5. ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #22		
5	რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა	მეოთხე	**მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში 040782**	**90**	**120**	ქართ	1. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 2. ქ. თბილისი, გუმათჰესის 89	0	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

1. ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“- ს დირექტორის 2018 წლის 20 აგვისტოს ბრძანება #63 საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
2. ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს დირექტორის 2018 წლის 31 მაისის #49 ბრძანება შიდა მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების შექმნისა და მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ
3. ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს სასწავლო პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის წესით.
4. ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“- ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
5. ხელშეკრულების პროექტი საწარმოსთან
6. დღის წესრიგი.

31.08.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: